ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 166

ქალაქი ქუთაისი 22 თებერვალი 2023 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის
№57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №57 განკარგულებაში, კერძოდ, განკარგულების დანართის – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის №197 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი კვ.მ.	სარეგის-ტრაციო ნომერი	საწყისი საპრივა-ტიზებო საფასური	აუქციონით განკარგვის ფორმა (პირობით ან უპირობოდ)	სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
197	არასასოფლო–სამეურნეო დანიშნუ-ლების მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობით	ქალაქი ქუთაისი, ბარათაშვილის ქუჩა №101	შენობა–ნაგებობა ფართი №1 – 1659,76 კვ.მ. და დამხმარე ნაგებობა 37,32 კვ.მ. მიწა – 2849 კვ.მ. (თანასა-კუთრება)	03.04.22.028	1 099 000.00	უპირობოდ	აუქციონში გამარჯვე-ბულმა, აუქციონზე დასახელებული საბო-ლოო თანხის გადახდა განახორციელოს ნას-ყიდობის ხელშეკრუ-ლების გაფორმებიდან 2 (ორი) წლის განმავ-ლობაში. მათ შორის საბოლოო თანხის ნახევარი (აუქციონში მონაწილეობის მისა-ღებად მის მიერ გადა-

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი
საკრებულო
საქართველო
ქ. ქუთაისის
საკრებულო

							ხდილი თანხის გამოკ-ლებით) უნდა გადაი-ხადოს აუქციონის დასრულებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში. საკუთ-რების დამადასტუ-რებელი მოწმობა გაიცემა თანხის სრულად დაფარვის შემდგომ

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია